

072
1976

საქართველოს
სტამბლი



1976 წლისთვის

საქართველოს

ს ა ლ ა შ ი ნ ო ე მ ბ ე რ ს

ვერენი ბართაია

მოკდივართ მწუობრი ნაბიჯით,
მოგუაქეს წითელი ალაბი...
დიდება ნოემბერს, დიდება!
სალაში ნოემბერს, სალაში!

ჩვენი ფიქრი და ოცნება
ეუახოსავით ანთია...
დიდება ნოემბერს, დიდება!
სალაში ნოემბერს განთიადს!

დრომაც ეუახოსფერია —
გადსწვდა ცათა კიდე-განს...
სალაში ნოემბერს, სალაში!
დიდება ნოემბერს, დიდება!



ნახატი მალხაზ კუხაფვილისა



ბებიაშას გაიხაროს

იური ნარიშკინიძე

— დაიწყო ზემი? — ლოგინიდან იკითხა ბებიაშ.

— არა, მაგრამ მალე კი დაიწყება! — მიუგო ახალთახალ კაბაში საგანგებოდ გამოწყობილმა ანიკომ.

— ეგე! აჲად არ ვიყო, მეც წამოვიდოდი ზემზე! მიყვარდა ყვავილებითა და დროშებით მოკაზმულ ქუჩებში სიარული...

ანიკომ წამით მოიწყინა, ხატპეველასავით აფხაულებულ წამწამებქვეშ ნალღველი ჩაუღდა.

— ჩვენ დიდხანს არ ვისეირნებთ, ბებე! სულ მალე მოვალთ და ყვავილებსა და ფერად ბუშტებსაც მოვიტანთ.

— ოღონდ ის საწრიბინო არ იყიდოთ! — გააფრთხილა ბებიაშ შვილიშვილი, — გულის

გამაწვრილებლად წვიცის...

— არა, ბებე, აღარ ვიყიდით!

— მზადა ვარ, წავედეთ! — თქვა დედამ, რომელიც თმების სწორებით მეორე ოთახიდან გამოვიდა და გოგონას დაუცაცხანა, კაბა უკვე დაგიკმუქნია, დიდი ფეთხუმი ვინმე გაიზრდებიო...

— მამა სად არის? — იკითხა ანიკომ.

— მამაშენი რახანა წავიდა. ის ქარხნის კოლექტივთან ერთად გამოვა...

„მამ თეო ბებო მარტო რჩება სახლში“ — გაიფიქრა ანიკომ და ისევ მოიწყინა.

დედამ ხელის მსუბუქი ბიძგიტა წინ გაიგდო შვილი და პაკაპუკით სადარბაზოდან ქუჩაში გამოვიდნენ.

პროსპექტი, მართლაც და, დიდებულად იყო მორთული. აივნებსა და ფანჯრებზე შინდისფერი დროშები და ყვავილები გამოფენიანთ.

ქ. მარქიძის საბ. საკ. საბ.
საბავშვო ჟურნალი
საბავშვო ჟურნალი

შორიდან საამოდ მოისმოდა საზეიმოდ
ვამოსული კოლონების ხმა.

გოგონამ შენობას ახედა:

„აი, იმ აივნისგან შარშან ბებია გადმოდგა
და ღიმილით გადმოსძახა:

— ანიკო! აბა, დროზე დაბრუნდით, ვი-
ღრე ნამცხვარი გამოცხვევოდეს...

მაშინ თეო ბებოს სიარული მაინც შეეძ-
ლო. ოთახიდან ოთახში ხელჯოხით დაკუს-
კუსებდა და წამლებსაც მალიმალ სვამდა,
იქნებ მეშველოს და ეს ნეკრესის ქარები
დროზე მოვიშოროო...

მერე სულ ჩავარდა ლოგინად და დაკუტ-
და. „საწყალი ბებია!“ გოგონა უეცრად შედ-

გა. დედას ხელი გააშვებინა და შეტრიალდა.

— სად მიდიხარ?!— გაუცვრდა დედას.

— სახლში...

— დაგრჩა რამე?!

— ტელევიზორი!— წამოიძახა გოგონამ, —
ტელევიზორი უნდა ჩავრთო!

დედას ხმა არ ამოუღია, მხოლოდ ხელე-
ბი გაასავსავა გაოცებისაგან— ეს რაღა მოე-
პრიანაო.

— გამიშვი, დედი! ბებია მარტოა, ტე-
ლევიზორს ჩაუერთავ. ნახოს დღევანდელი
ზეიმი, ბებიაზეც გაიხაროს...



შოთა ქავთარაძე



დღეს წვიმა და ქარია
გარეთ არ გაისვლება,
ჩემი სოფლის მდინარე
მღვრიე წყლებით ივსება.
თბილი ბინა მოძებნეს
მელიებმა,
ციყვებმა...
ვზივარ თანჯარასთან და
დედა ზღაპარს მიყვება.



კატა მასკა

მ. გონი-გრუპიჩი

ერთხელ ლენინი აგარაკზე გვეტუმრა,— დასასვენებლად ჩამოვიდა.

ბაღში ვსეირნობდით ჰაერზე.

— კატა გყავს? — შეეკითხა ილიჩი ჩემს ქალიშვილს—ლოლას.

— მყავს! ვასკა ჰქვია! ჩვენ მას ვასილ ივანჩისაც ვეძახით... აი, ისიც! —უბასუხა ლოლამ, თან მიანიშნა დიდ, შავ კატაზე, რომელიც სამზარეულოდან აუჩქარებლად გამოიბლინდა.

კატა მთლად შავი გახლდათ, ყელზე თეთრი ჰალსტუხი ეკეთა. თათებიც თეთრი ჰქონდა, გვეგონებოდათ, კოხტა ფაჩუნები აცვიავო. წვერიც თოვლის ფიფქივით თეთრად გაბუებოდა.

— რა ბღენძია კატა! — თქვა ვლადიმერ ილიჩმა. — ალბათ დიდი ზარმაცი ვინმეც იქნება.

— რასა ბრძანებთ, ვლადიმერ ილიჩ, — გამოექომაბა ლოლა თავის საყვარელ კატას, იცით, რა მარჯვედ იქერს თავგებს!

— ეგ მაგისი პირდაპირი მოვალეობაა... აბა, ვნახოთ, ფოკუსები თუ იცის!

და ვლადიმერ ილიჩმა სწრაფად აიყვანა კატა ხელში, წაულიტინა კისერქვეშ, ყურებშია მოფხანა, მერე ხელი გადაუსვა... კატა კმაყოფილებით ზურგზე გადაგორდა და გაიზმორა, ვლადიმერ ილიჩს ნახად დაუწყო თითზე ლამუნი და თანაც უკანა თათებით მის მოგვრიებას ცდილობდა.

— ერთი უყურეთ, რა ანცი ვინმე ყოფილა! აბა, ახლა ვნახოთ, როგორი ხტომა იცი, — თქვა ვლადიმერ ილიჩმა. კატა მიწაზე ჩამოსვა და ცხვირწინ ხელებით წრე გაუკეთა: — გადახტი, ვასენკა! გადახტი!..

კატა დაიბნა. ვლადიმერ ილიჩს კი მკლავებით შეკრული წრე სულ ახლო და ახლო მიჰქონდა კატასთან.

— ჰა, გადახტი! — თან უკანიდან ფრთხილად უბიძგა და მერე ცხვირწინ ისევ წრე გაუკეთა ხელებით.

ვასკამ ზანტად წამოიწია, მოიკეუხა და რბილად და მოუქნელად გადახტა, გადახტა ვლადიმერ ილიჩის მკლავებზე. ვლადიმერ ილიჩმა ისევ მიაგება მკლავები, ვასკა უფრო სწრაფად და მონღოლებით გადახტა, ბოლოს კარგა ლახათიანი ნახტომებიც გამოუვიდა, კული გააბუა და შინისკენ მოჰკურცხლა, კართანის ქვეშ შეძვრა და იქიდან ეშმაკურად აბღვრიანებდა ქროლა თვალებს.

— ოჰ, შეეცუღლეთო, შეე, ყაჩაღო! — ეუბნებოდა ვლადიმერ ილიჩი, — მოგებურდა? გაგვექვიცი?.. ყოჩაღ! კარგად გადახტი! ლოლა, მიეცი რძე. ნამდვილად დაიმსახურა კარგი სალუმე!

ლოლა სამზარეულოში გაიქცა. ერთი ფინჯანი თბილი რძე მოარბენინა და კართანის წინ დადგა.

ვასკა კართანიდან გამოძვრა და კრუტუნით შეუდგა რძის სველპას.

— ყოჩაღ, ვასკა! — აქებდა ვლადიმერ ილიჩი. — ჯერ სადა ხარ, — მე და შენ სკამზე ხტომასაც ვისწავლით.

უიჩხზე

ქათავან ზილაფვილი

სოფელ წიწიბოს ფერღობს გადაიბილიკებ და ტყეს მიადგები. ყმაწვილებს ხშირად დაუღლით იქ ბურჯაკები წიფლის სასუსნადად. კუნწია და წკაპუნა კი ფიჩხის მოსატანად მიიჩქარიან. დაპკრეს ფეხი და თვალის დახამხამებაში აიარეს სოფელი, მინდორში სისინა ქარი მომძლავრდა, ბიჭებს პირსახეში უსიამოდ სცემდა. კუნწიამ და წკაპუნამ ხან აივაკეს, ხან ჩაივაკეს და ბილიკმა შიგ შუა ტყეში მიიყვანა.



ტყემ ქარს ძალა წაართვა, ბიჭები თავისუფლად დატრიალდნენ და ხელად ფიჩხის კოკოლა წამოღვეს. მერე კონა-კონად შეკრეს, ერთი ერთმა შემოიღო მხარზე, მეორე—მეორემ და ისევ სოფლისაკენ ჰქენს პირი.

— არიქა, წკაპუნ, ტურა დაგვედგენებია!—ფეხი აჩქარა კუნწიამ, მაგრამ წკაპუნამ იცოდა, ამხანაგის ხუმრობა.

— რას გადაფიქრდი, კუნწიავე, ამ ფიჩხს ზედ თავზე გადავამტვრევ.

— უი, დათვი ყოფილა, ბიჭო, დათვი...—თავქვეს ჩაპყვა კუნწია.

— დათვს რა, ფიანდაზად დაეფინება ეს ფიჩხი?!

მაშალი მგლისაც არ მეშინია! — აჩქარდა კუნწიამ, უკებ ფეხი გადაუტრიალდა ფიჩხიკონიენიანად მიწაზე გაგორდა.

კუნწიას ისეთი სიცილი აუტყვდა, სული ძლივს მოითქვა.

— გაზომე? კილომეტრი იქნება? — ქახუხებდა შაშვივით, წკაპუნა კი ისე იმანკებოდა, უთუოდ რაღაც ეტკინა. კუნწიას ფერი-ფერიმა გადაპკრა, კონები მიაყარა და ამხანაგთან მიიჭრა.

— მომე ხელი, წამოდექი! — კუნწია შემოეხვია ამხანაგს და, როგორც იყო, წამოაყენა, მაგრამ წკაპუნამ ცალი ფეხი მიწას ვერ დააკარა. კუნწიას ცრემლები გადმოუგორდა. ფეხთ გახალა, კოჭთან

ზელა დაუწყო.

— ალბათ გელძო, ფიქრი არ არის, ჩენი დასტაქარი ხელად მოგორჩენს... უი, მართლა, ამგაში კიდევ დარჩა ვაშლი, ერთი გემრიელად შეახრამუნე!

კუნწიამ ვაშლი ხელით გაასუფთავა და მისცა, თვითონ კი ცხვირსახოცი დაიარიბა და ნატყენზე მიგრად გადაუჭრა. წკაპუნამ ვაშლს პირი არ დაიღო, ცუდად ენიშნა კუნწიას, მხარი შეუდგა; ცალი ხელი წელზე შემოხვია, ვაივავლობით წამოიყვანა.

— ფიჩხი? — შედგა წკაპუნა.

— მათი ოხრობაც იყოს! შენ კარგად იყავი...

— არა, არა, ნუ დავტოვებთ, ერთად ვაღვე-
კონოთ და ჭამრით გავათრიოთ! თქვენებს იმედი
აქვთ...

— რა შეფიჩხება, წკაპუნნი?! ასეთ ფათერაკს
გადაგკიდევ...

— შენი დაიკო არ გეკოდება, საღამოზე ხე-
ლებს ვაითობოს...

კუნწია დაპყვა ამხანაგის ნებას.

წკაპუნა უწუმრად იტანდა ტყვიელს, რომ კუნ-
წიას დამშვიდებით შეეკრა კონები. არც მერე ამო-
უკვნიესია, უხმოდ მოდიოდნენ, მძიმე-მძიმედ.

— რა ვჭნა, როგორ შევხედო წკაპუნას ღედას
სახეში! ნეტავ, სულ არ წამომყოლოდა! ახლა

— რაკი ცაფანდარა ვარ, განა ღონე არა მადეს!
შენ მაგის დარდი ნუ გაქვს, აბა, კარგად მოხედა
დენი!—მარჯვედ ამოუღდა კუნწია წკაპუნას და გა-
განაგრძეს.

შეუ კარგა ხნის ჩასული იყო, ბიჭები შინ რომ
მივიდნენ ზემოუბნელი ბაგრიას მოტოკიკლეტით.

— ვაიმე, მე თავმცედარსა!—ელდა ეცა წკაპუ-
ნას ღედას ფეხკანჭურბული შვილის დანახვაზე.

— რა ღაგემართა, წკაპუნნი!—შეშფოთდა კუნ-
წიას ღედაც.

— ღიღი ამბავი, ფეხი ვიღრძე!—თავი მომი-
ჯობინა წკაპუნამ,—ეს საწყალი კუნწია კი მოვი-
ნარიკლე, რაც ამან იწვალა, ცალკე ფიჩხი მოჰქონ-



ხუმრობაც რომ ავიტყხე! იმის ღრო იყო, მზრებით
იმოდენა ფიჩხი მოგვეკონდა?!—სინანულმა შეიპყრო
ბიჭუნა. მკლავები ჩამოწყვეტაზე ჰქონდა, ძლივს
მოიკაცებოდა, მაგრამ არ იმჩნევდა. ვაიმე, ფეხი
რომ მოსკრან!—შეპყურებდა ღროდარო კუნწია
წკაპუნას შესიებულ კოკს და შიშის ტრუანტული
უფლიდა.

— წკაპუნე, უნდა მამატიო, ძმავო!—სასოებით
შეხედა კუნწიამ ამხანაგს და ცოტახანს შეისვენა.

— რასა ბოდისოზ კუნწიავ, რა შენი ბრალია!
მე იმას ვწუხებარ, ამოდენა ვირგლა შენი სატარე-
ბელი რომ გავხდი, ცოდო არა ხარ, თვალბში სი-
ნათლე გავდის...

და, ცალკე მე შეყვარჯნობდა...

კუნწიამ ფაცაფუტით მოხსნა მოტოკიკლეტს
გამობმული ფიჩხის კონები.

წკაპუნა ერთხანს ლოგინში იწვა. არტაშანი
ჰქონდა ფეხი გაკოკილი. კუნწია სკოლიდან მოვი-
ლოდა თუ არა, ერთავად თავით ეჯდა, ჯერ გაკვე-
თილებს ჩააბულბულენებდა, მერე კი, რაც რამ
გაეგონა, ტყვილი თუ მართალი, ენას არ ძიერებდა,
წკაპუნამ გული გადააყოლოსო.

ამასობაში შემოიპარა ზამთარი, წკაპუნას ფეხი
მოურჩა და გულადი მეგობრები ციგის სრიალით
შეეგებნენ პირველ თოვლს.

ნახატი **თამაზ ხუციშვილისა**

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

ბიძინამ ფანჯრიდან ქუჩაში რომ გადაიხედა: მალალი, შავულვაშა კაცი დაინახა. ერთ ხელში უზარმაზარი, თეთრად შეღებილი თუნუქის ფურცელი ეჭირა, მეორეში—ჩაქუჩი, იდგა და მათ სახლს ათვალიერებდა.

„რა უნდა?—გაიფიქრა ბიძინამ, — შეიძლება ვინმეს ეძებს!“

ის კაცი გვერდზე შეტრიალდა და ახლა ცერად გამოხედა შენობას, გვერდზე რომ შეტრიალდა, თუნუქის თეთრი ფურცელიც შებრუნდა და ბიძინამ გაკვირვებისაგან თვალები აახამხამა; ფურცელზე, თითქმის ბიძინას სიმაღლე, წითელი ხუთიანი იყო დახატული. ბიჭი უცებ გამოცოცხლდა, მაშინვე მიხვდა, რომ ის კაცი ვინმეს მისამართს კი არ ეძებდა, სახლების დამწმირავი იყო, ვერ მოითმინა და გადაწყვიტა გამოლაპარაკებოდა.

— სახლებს ნომრავ, ძია?

მენომრემ ბიძინას ამოხედა, ერთ-ორ წამს თვალბმოკუთულმა უყურა და თავი დაუქინა:

— ვნომრავ!

— ახლა კი ბებიას ეშველება! — ტაში შემოკრა ბიძინამ, — სოფლიდან წერილს ვერ გვიგზავნის, ახალ სახლს ნომერი არ აქვს და...

— ჰოო!

ბიძინამ თვალით ნომერზე ანიშნა:

— ჩვენია?

კაცმა თავი დაიქინა:

— თქვენია!

— რაღას უყურებთ, აიღეთ და მიაჭედეთ!

— შენ გგონია, ასე ადვილია მიჭედება?

— მაგას რა უნდა, — გაიცინა ბიძინამ, — ჩაქუჩი და მაგის ჯანი.

— ეე, ძმაკაც, ამ ხუთიანს ადვილად ვერ შეველევი! — მენომრემ თუნუქის ფურცლიანი ხელი შორს დაიჭირა და ხუთიანს ისე შეხედა, თითქოს პირველად ხედავდა.

— რატომ ვერ შეველევი? ცოტა არ იყოს, გაცოცხლა ბიჭი.

— გატყვი! ეს ნომერი რომ მომცეს, მითხრეს, ისეთ სახლს მიაკარი, სადაც ხუთოსნები



ცხოვრობენო, ჰოდა, ვდგევარ ახლა და ვფიქრობ, ვაი თუ ამ სახლში ოროსნები ცხოვრობენ, ხომ შევრცხვი კაცი, ჰა?

ბიძინა ჩაფიქრდა: იმ შენობაში, მართალია, დიდი ხანი არაა, რაც ცხოვრობს, მაგრამ თითქმის ყველა გოგო-ბიჭს იცნობს. ცოტა ხანს იფიქრა, იფიქრა და თვალები სიხარულით გაუბრწყინდა.

— ძია, ამ სახლში იცი რამდენი ხუთოსანია? თუ გინდა, მოვთვლი.

— აბა, მიდი!— შეაგულდიანა კაცმა.

— ჩემი და, ეგ ერთი! ჩემს მეზობლად ტყუპი ძმები ცხოვრობენ, ორივე ხუთოსანია, ეგ სამი! მაღლა სართულზე ექვსი ბავშვი ცხოვრობს, ექვსივე უოჩალები არიან! ხუთიანები, რამდენიც გინდა, იმდენი აქვთ, კიდევ მაღლა...— ბიძინა მოყვა და მოყვა, იმდენი ხუთოსანი ჩამოთვალა, იმ კაცს თავის კანტურისაგან, ვგონებ, ნიკაპი ეტკინა, თან მიდი-მიდიო— იძახდა.

ბიძინამ მარტო ერთი მეორეკლასელი ბიჭი დამალა, ამბობენ: დიდი ზარმაცი ვინმე ბრძანდებო, და იმის შიშით, ვაითუ მენომრემ „ხუთიანი“ სხვაგან წაიღოსო, არ ახსენა.

— შენ? შენ რაღა კაცი ხარ?— უცებ იკითხა მენომრემ.

— მე? მე საბავშვო ბაღში დავდივარ. დედა ამბობს, სკოლაში გაიხად უნდა მივაბაროო. რასაც ბაღში გვასწავლიან, სულ ხუთებზე ვიცი, — ბიძინამ პირი დააღო და ხულმოუთქმენლად რამდენიმე ლექსი ჩაარაკრაკა, მერე ახლადნასწავლი სიმღერაც წაუღიღინა, შემდეგ უცებ თქვა, — გინდა, ვიცეკვებ!

— მიდი, მიდიო!— გააქეჯა მენომრემ.

— დოლი რომ არ გვაქვსო?!— თქვა ბიძინამ.

— შენ არხეინად იუაფი!— შესძახა მენომრემ, ჩაქუჩი ძირს დააგდო, მუხლზე თუნუქის ფურცელი მიიყუდა და ხელები დასცხო.

მენომრეს თუნუქის ფურცელზე ბავუნისაგან ხელები დაეღალა და გაჩერდა:

— ყოჩაღ, ბიჭო, ვხედავ, ყველა ხუთოსანი ყოფილხართ, ეს ხუთიანიც ამ სახლისათვის ალალი იყოს!— აიღო ჩაქუჩი, კედელთან მივიდა და თუნუქის ფურცელი ღურსმნებით მოაქედა.

იმ სახლს, სადაც ბიძინა ცხოვრობს, ახლა დიდი წითელი ხუთიანი ამშვენებს, გამგელე-გამომგელელებიც მას ხუთოსანთა სახლს ეძახიან-





ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკორტსენები

ავთანდილ გურგენიძე

• • •

„სიმძიმეების აწევას
ჩემსაფით ნურგინ ცდილობს“, —
ამბობს და მართალიცაა
ზატყვეპული სწილო.

• • •

„თუ ვინმეს ვინის გული და
თუ ვინმეს უჭრის თათი,
რინგზე შემსჯდესო, ბატონო“, —
ითხოვს ბაჯბაჯა დათვი.

• • •

— „თუ წაჯატოთა ვინმესთან,
არც გუესუროსო ქუდი...“
შეუდგენიათ ვირაფებს
კალათბურთელთა გუნდი!



ზურიკო

აბთანდილ დოლიჯვილი

პაპას ბაძაეს ზურიკო:
გააკეთა სამთეხა,
წვრილი შეშა რაც იყო,
სულ ზომაზე დახეცხა.



ციყვი

მამამ ციყვი მომიყვანა,
გავუკეთე მყულრო ბინა,
მეორე დღეს გამეპარა,
ხის კენწერო ამჯობინა.

მჭაქელი

შეაგროვა ხარახურა,
ზურამ ქურა გაახურა.
ახლა გრდემლზე ურტყამს უროს.
უნდა სოფელს ემსახუროს.



ჩინარის ტყე შრიალას

გურამ ბახტაძე

სოფლის გადაღმა ტყეა, რომელსაც ყველა ჩინარს ეძახის. ზაზას, კახას, დათოს, ლიას, მაკასა და სხვა ოქტომბრელებს იგი ჩვეულებრივი ტყე ეგონათ. მაგრამ, თურმე ნუ იტყვი, ძველად იგი რევოლუციონერთა თავშესაფარი ყოფილა. მამაც ადამიანებს ტყის შუაგულში ჩუმად ქონი აეშენებინათ, სადაც რევოლუციონერებისათვის თოფებს ამზადებდნენ.

ეს დიდა ხნის წინათ იყო. მაშინ იმ თოფებს „ბერდანკებს“ უწოდებდნენ. ვინ მოსთვლის, რამდენი თოფი დაამზადეს ამ საიდუმლო „ქარხანაში“.

სკოლის ეზოში დარგონ და ახარონ 60-ზე დაამზადონ ჩინარის საიდუმლო ქარხნის მაკეტი, ბიონერთა ოთახში მოაწყონ „რევოლუციის კუთხე“.

ოქტომბრელებმა გამოაცხადეს კონკურსი, თუ ვინ დახატავს უკეთეს ნახატს, დაწერს ლექსსა და პატარა მოთხრობას. ყველაზე საუკეთესოებს იმ ხელთნაწერ წიგნში მოათავსებენ, რომელსაც აწერია: „ჩვენ ოქტომბრის შვილიშვილები ვართ!“

პაპა თეოფილე ოქტომბრელებს შეპირდა, ჩემს მეგობრებს—რევოლუციის მამაც ჯარისკაცებს გაგაცნობთო. მათაც გადაწყვიტეს საჩუქრად ამოუქარგონ ხელსახოცები.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავის დღეს ჩინარის ტყეში ბიონერები დიდ კოცონს აავიზვიებენ, იქ, რასა-



ჩინარის ტყის ამბავი ოქტომბრელებს პაპა თეოფილემ უამბო. იგი ძველი კომუნისტია და იმ თავდადებულ ადამიანებს ედგა მხარში, ვინც რევოლუციის გამარჯვებისათვის იბრძოდა.

პაპა თეოფილეს ოქტომბრელები მაშინ დაუმეგობრდნენ, როცა მათი უფროსი მეგობრები, ბიონერები, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისათვის სამზადისს შეუდგნენ. ოქტომბრელებმა კარგად იციან, რომ საკავშირო ბიონერული მარში ამ დიდ თარიღს ეძღვნება. სამზადისში ისინიც მონაწილეობენ.

ოქტომბრელთა ვარსკვლავებში გადაწყვიტეს

კვირველია, პაპა თეოფილეც იქნება და სხვა ძველი რევოლუციონერებიც. მესამეკლასელი ოქტომბრელები ბიონერის საზეიმო დაპირებას წარმოსთქვამენ. პაპა თეოფილე და სხვა ძვირფასი სტუმრები კი მათ მკერდზე ალისფერ ყელსახვევებს გაუკეთებენ.

სოფლის გადაღმა ჩინარის ტყე შრიალებს, იგი სადიდებელ სიმღერას უმღერის რევოლუციის გმირებს. ჩოხატაურის რაიონის სოფელ განახლების საშუალო სკოლის ოქტომბრელები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისათვის ემზადებიან.



პირ ბაიბუ...

მეზარ კვიტაიშვილი

სტუმრად ვიყავ ზურასთან,
ზურა ჩემი ტოლია.
წუხებდ რაც იქ ვიხილე,
ძნელი მოსაყოლია;

იბღვირება ფოცხვერი,—
კატასავით მარლია;
აქეთ—იაგუარი,
იქით—ლეოპარდი.

თუთიყუში ქოჩორა—
ქვიცილით ყურს ალაყებს,
მაიმუნი ხეზეა
და გადადის მალაყებს.

ფანჯარასთან მანეცი—
სადგომია სპილოსი;
კიდევ კარგი, არ უნდა:
თივა, ბზე და სილოსი.

გალიაში ვეფხები ზის,
თვალი ვერ მოვაცილვ.
ვერ გაიგებ—ჯუნგლია
თუ ოთახი საძილვ.

წვანან მგლები, ლომები—
ძუ არის თუ ხეაღია;
სად წაიღეს ზოობარკი—
ჩემთვის უკვე ცხაღია.



გულადი დათუნია

ალექსანდრე ტაგატაძე

ზ ღ ა მ ა რ ი

ერთ უღრან ტყეში დედა დათვი ცხოვრობდა. ერთი ზატარა ბელი ჰყავდა, ისე ზატარა, რომ დედა ბუნაცვიდან არც კი უშვებდა გარეთ, არაფერს შეიშინოსო. დატოვებდა ბუნაცვი და თვითონ სანადიროდ მიდიოდა. საღამოს სანადიროვს მოუტანდა, აჭმევდა, მერე საინტერესო ზღაპრებს მოუყვებოდა და დაძინებდა. ზღაპრები, რა თქმა უნდა, ტყის ცხოვრებაზე იყო—კურდღლებზე, ციყვებზე, მელაიებზე და მგლებზე. ლომებზე და ვეფხვებზე არაფერს უყვებოდა, ვაითუ შეეშინდესო.

ერთ მშვენიერ დღესაც დათვი ტყეში წასასვლელად მოემხადა...

— აბა, ფეხი არ გადგა ბუნაცვიდან, — გააფრთხილა ბელი.

— არ გავალ! — თქვა ბელმა.

ტულდამშვიდებული დედა დათვი ბუნაცვიდან გამოვიდა და ტყეში გაუჩინარდა.

ერთხანს ბელი მართლაც ბუნაცვი იწვა. მერე მოსწერდა და გარეთ გამოვიდა.

კარგახანს იარა ტყეში და უცებ ლომს არ გადააწვდა! ზატარა ბელს ლომი არასოდეს ენახა და მისი არც შეშინებია. ისიც კი მოეჩვენა, რომ მსგის ძალიან გრძელი ეურები ჰქონდა და ძალიან ზატარა კუდი. „ეს ალბათ მშობარ კურდღელია“ — გაიფიქრა და სულ ასლოს მივიდა.

— შენ, ჰეი, კურდღელი! მოუსვი აქედან, თორემ მაკურებს კიდეც უფრო დაკიკრძელებ! — შეუძახა ასლოს მიუსულმა.



ლომმა იფიქრა, ალბათ ისე ღონიერია ეს ზატარა ბელი. კურდღლად მოვწვინეო და კუდამოკუბულმა მოკურცნლა.

იარა, იარა ზატარა ბელმა და ასლა ვეფხვს წაადგა, მზეზე გაწოლილიყო, თვლემდა. ბელს ვეფხვი თავის დღეში არ ენახა და მანაც არ შეშინებია, „ალბათ ციყვი თუა“ — გაიფიქრა და სეს ამოჟვარა, — ცოტა ხანს ვუურობ და მერე ერთი მაგრად მკვამინებო.

ამ დროს სმელი ტოტების ლაწაღუწი შემოესმა. ცოტა ხანიც და, ამ ბელის დედა



გამოაჩნდა—ნადირობიდან ბრუნდებოდა და შვილისათვის საჭმელი მიჰქონდა. ვეფხვმა სმაურსე გაიღვიძა და დათვისავე გაქანდა.

— შენ, ჰეი, ციფვი ხარ თუ ვიღაც ბრიფვი, დათვის თავი დანახებუ, თორემ სულ სათითაოდ ამოვაცდლი მაკ ჭიან კბილეებს!— შეუძახა ბელმა და საფაროდან გამოვიდა.

— შენ ვიღა ხარ? — იკითხა გაპვირეფე-ბულმა ვეფხვმა.

— ვინცა ვარ, ახლავე გიჩვენებ!— გულბადდ უთხრა დათუნამ და მისკენ წავიდა. ვეფხვს შეემინდა! იფიქრა—ჩემსე ღონიერი

იქნება, თორემ ამახს როგორ გამოიბუდვდარი და იძახაც მოკურცხლდა.

ღელა დათუმა რომ თავისი ბელი დაინახა, ჯერ გაუკვირდა, მერე დიდად გაიხარა, რომ ასე გულადი შვილი ჰყავდა.

— ეოჩაღ, შვილო, ეოჩაღ! რომ შეგმინებოდა, ვეფხვს ერთ ლუკმად არ ეყოფოდი. ეს კარგია რომ გულადი ხარ, მაგრამ სხვა დროს ნულარ გასტყეს სიტყვას, ჯერ ნუ გამოხვალ მარტო გარეთ. როცა გაიზრდები, საითაც გინდა წადი, შენ ვეღარა-ვინ მოგაერევა.

საზეიეო

ტარიელ ხავთასი

ბაბა, ჩქარა, ბიჭებო, —
თარი,

დოლი,
დანი!

ტებელ სმებს აწვრიანლებენ
ღალი,

გოგი,
ხაირა.

საცეკვლოდ მორთულა
ცურუმელა მხიკო.
წრე,

წრე შევრათ,
ერიბა!
უქმად დგობა არ იოს.
დიმ-დამ,

დავლურს დავუვლინ
ტიტიკო და დარიკო,
დოლს სიმღერა ავუწვით,
საცეკვლო რამ იოს:

— ტაში, —

ტიტიკო,
დარიკო,
მხიკო.

ტაში, —

ტიტიკო,
დარიკო,
მხიკო.

ტაში.



პომიდვრის ხე

ზიოზგი დათუაზვილი

პომიდვრის სამშობლოა ამერიკის შეერთებული შტატების ტროპიკული რაიონები. გაღანაგობის კუნძულზე, რომელიც სამხრეთ ამერიკის დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობს, იზრდება მრავალწლიანი მცენარე—პომიდვარი.

მაგრამ არსებობს სხვა სახის, საბჭოთა მეცნიერების მიერ გამოყვანილი ხე-მცენარე, რომელიც პომიდვრის ისხამს. აკადემიკოსმა ნიკოლაშ ციციმა მარადმწვანე სუბტროპიკულ მცენარე ციფომანდრა დაამყნო ჩვეულებრივი პომიდვარი. ციფომანდრა იძლევა მტვეგნისებურ ნაყოფს—4-5 ცალს, თვითუღი—40-45 გრამს იწონის.

მეცნიერის შეუპოვარმა, გამოიზნულმა შრომამ, ბოლოს და ბოლოს გარკვეული შედეგი გამოიღო; ციფომანდრა ახლა გაცილებით უხვად იძლევა ნაყოფს, კარგად იტანს არახელსაყრელ პირობებს. ნაყოფი შესაძლებელია გადავიტანოთ არა მარტო ყუთებით, არამედ ტომრებითაც კი



თან ღიზნასაც სძლებს. ამასთანავე არც პომიდვრისათვის დამახასიათებელ მეტად სასარგებლო თვისებებს ჰქარგავს.

წინათ პომიდვრის ჩვენი ოქროს ვაშლს უწოდებდნენ, რაც იტალიური სიტყვის „პომიდვრის“ პირდაპირ თარგმანს წარმოადგენს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მცენარე ჩვენში იტალიიდან არის შემოტანილი.

ამჟამად ციფომანდრა გამოცდას გადის და შორს არ არის ის დრო, როცა მასობრივად გავრცელება ხე-მცენარე-პომიდვარი.



შალვა შუბლაძე

დ რ უ ნ ჩ ა

დრუნჩამ ღრუში ჩაიხედა:
 „სულ ფიქვებით ავსებულა!“
 გამოცვივდა ფუტკრის ჯარი,
 თავს დაესხნენ ასეულად.
 ბუნავამდე ძლივე მიასწრო
 დრუნჩამ—ცხვირგასიებულმა.

ვ ა რ ე ხ ი ს მ ც ვ ე ლ ი

ნავაზი ჰგავს ლომს,
 ვინ შეებდაეს ომს,
 მისი შიშით ფარეხში
 ცხვირს ვერავინ ჰყოფს.

პრიგოლ ჩიბაიშვილი

პირველი წიგნი

პატარა გურის მამამ სურათებიანი წიგნი მოუტანა. ბიჭუნამ წიგნი გულში ჩაიხუტა, შეძღვევ დედასთან მიიღრინა.

გურის ძალიან მოეწონა სურათებიანი ზღაპარი.

მეორე დღეს მეზობელმა თენგიშმა გური სათამაშოდ მიიპატოცა.

მისვლისთანავე მაგიდაზე გურამ თვალი მოჭკრა ისეთივე წიგნს, როგორც მამამ უეიდა.

— ჩემი წიგნი, ჩემი წიგნით! — შესძახა მან და სტაცა ხელი.

— ჩემია! — დაეცა თენგიში.

შეიქნა ერთი მიძგილვაობა. უფროსებმა წიგნი პატრონს დაუბრუნეს. ატირებული გური დედამ შინ მიიყვანა.

— აი, შეილო, შენი წიგნი. ის კი თენგიშს მამამ უეიდა...

— მეწე, ორი ურთხაირი როგორ შეიძლება! — არ ისვენებდა გური. დედას გაეღიმა. ბიჭუნა კალთაში ჩაიხუტა და აუხსნა:

— ასეთი წიგნები ერთი და ორი კი არა, ბევრი, ბევრი იბეჭდება.

ზამთრისპირი

პ. გოგიაშვილი

შემოდგომა მიიწურა,
ჩამოთოვა მთა-გორები,
ჩქა-რა, ჩქა-რა, ცივა-ცივა,
რახრახებენ ვაგონები.

— აქ გადმოხტი... აქეთ, აქეთ,
ნეტავ საით იყურები... —
ზღმარტლს და პანტას აგროვებენ
ზღარბები და ციყუნები!
დათუნიათ დაიძინა,
მობუხულან ჩიტუნები.

ნახატი პრიგოლ ზაფრიდაშვილისა



1976 წლის „დილის“ მე-8
ნომერში დაბეჭდილი ლექსის
„აკანკური-მაკანკურის“ მუსიკა
ეკუთვნის კომპოზიტორ მერაბ
ფარცხალაძეს.

1305



ბ ა ი ხ ა რ ე ტ ი

გივი ძნელაძე

ამ პატარა ღეჭით
 გაუმარჯოს, ბავშვებო,
 სანოუმბრო ფერში *ღვთისმშობლის* მესით
 რაც ზეიმობს გარშემო:

- სოფელსა და მის შუკას!
- ქალაქსა და მის ქუჩას!
- თქვენს ეზოს და თქვენს ბაღს!
- თქვენს სკოლას და თქვენს სახლს!
- გაუმარჯოს თქვენს ოცნებებს!
- თქვენს გაბრდას და თქვენს მოსწრებას!..

რალა ბევრი გავაგრძელო,
 ღეჭსარ უყვარს წვადება:
 დაიბარდეთ სასახელო
 კაცებად და ქალებად!...

ნახატი მანანა მორჩილაძისა

შთავაზი რედაქტორი მხარან მახარაძისათვის

პარტიალური კოლეგია: ანაწარ აბრეშუბლი, ელზარდ აბრეშუბლი, კაპაძე გიორგიშვილი, ლილია მარამ, მამუკა მამუკაშვილი, ჯიშინა მამუკაშვილი, გიორგი კომინიშვილი (სამხ. რედაქტორი), იმრაზ მამუკაშვილი (პ/მ, მდივანი) კომპარტ ლაბინაშვილი, გივი ძნელაძე

საქ. აღმ. ც-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პარტიული ორგანიზაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი მამუკაშვილი. უფ. ხ. ნახატი ზარბაზი ძნელაძისა

ტექნიკური რედაქტორი: გივი ძნელაძე

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; პ/მ მდივანის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამდივნოს — 93-98-16.

გადაცემა: საშუალოდ 6/VIII-76 წ., ხელმოწერილია დასაბუღად 20/IX-76 წ., ქალაქის ზომა: 60x90მმ, ფ. ხ. ნახ. ფურც. 22, ტირაჟი 157.250. შედეგ. № 2732. „ძალა“ № 11. ნა. გრუზინკომ. ენაზე. ფასი 20 კაბ.

საქ. კ. ც-ის
 გამომცემლობა
 Издательство
 ЦК КП Грузии